ოქმი:**ო08. 3723326001**

თარიღი:**22/11/2023**

ოქმი № 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა,

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 21 ნოემბერი
ქ.ოზურგეთი
15.00 -16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი

კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:პ. სალუქვაძე, ნ. მახარაძე; თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, ბ. კილაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ლ. კილაძე, ნ. ურუშაძე, დ. დარჩია, ალ. ბურჭულაძე, გ. შილაკაძე. სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, აღნიშნა 2024 წლის ბიუჯეტი სავარაუდოდ დაიგეგმება 37მილიონ 725 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4 მილიონი ლარით, აქედან საკუთარი შემოსავლები იქნება 37 მილიონ 250 ათასი ლარი. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია იმ დარგებისა და პროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციონალურად ექვემდებარება დარგობრივ კომისიას. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ დასვა შეკითხვა თავდაცვის მუხლში არსებული თანხების თაობაზე, კერძოდ მასში გათვალისწინებულია თუ არა ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება? განუმარტეს, რომ მუხლში გათვალისწინებულია ვეტერანთა სარიტუალო მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას წარმოშობილი შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

თანამომხსენებელმა, თ. ბაქანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის მე-2 საკითხზე კერძოდ- მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ორი ავტომანქანის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის თაობაზე- მათი გასხვისების მიზნით, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით. კომისიის წევრებმა ასევე მხარი დაუჭირეს დღის წესრიგის მე-3 საკითხს ამავე ქონების საპრივატიზაციო გეგმაში შეტანის თაობაზე.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1 საკითხი წარმოშობილი შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

2. N2,3 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი